უწყვეტი შესაძლებლობები

განათლება

დასაქმება

ბიზნესი



გაეცანი პროექტებს

საქართველოს ბანკის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) 2026 წლის რეპორტი

CSR.BOG.GE



შესავალი

საქართველოს ბანკს, როგორც წამყვან კომპანიას, გვაქვს პასუხისმგებლობა, წვლილი შევიტანოთ ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში და შევქმნათ უსაზღვრო შესაძლებლობები ინდივიდებისა და საზოგადოებისთვის.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, ჩვენი მიდგომა ეფუძნება გრძელვადიანი ინვესტიციის განხორციელებას საზოგადოების გაძლიერებაზე ორიენტირებულ სფეროებში.

სწორედ ამიტომ, ჩვენი მთავარი ფოკუსია **განათლების** ხელმისაწვდომობის ზრდა, რისთვისაც 40-ზე მეტ პროექტს ვახორციელებთ მოსწავლეების, სტუდენტებისა და მასწავლებლების მხარდასაჭერად.

ამავდროულად, ვქმნით **დასაქმების** შესაძლებლობებს, მხარს ვუჭერთ **ბიზნესებს** მთელი საქართველოს მასშტაბით და ვახორციელებთ **სპორტის, კულტურისა** და **გარემოს** დაცვის მიმართულებით ინიციატივებს.

ჩვენს 2026 წლის ანგარიშში გაეცნობით საქართველოს ბანკის CSR ინიციატივებს, არსებულ შესაძლებლობებს, პარტნიორებს, აქტივობებსა და შედეგებს. ჩვენი მიზანი უცვლელია - **ადამიანებს მივცეთ შესაძლებლობა, ისწავლონ მეტი, დასაქმდნენ, განვითარდნენ და წვლილი შეიტანონ ქვეყნის საერთო მომავლის შექმნაში.**

სარჩევი

შესავალი 01

2026 წლის მთავარი მიმართულებები 03

განათლება 04

ჩვენი საგანმანათლებლო ინიციატივები 05
იდეათეკა 06
საქართველოს ბანკის სტიპენდია 07
პროფესიული განათლების დაფინანსების პროგრამა 09
საერთაშორისო სტიპენდიები 10
მასწავლებლის ეროვნული ჯილდო 13
STEM განათლების ხელშეწყობა 14
ფინანსური წიგნიერების ამაღლება 17
sCoolApp 18

დასაქმება 19

დასაქმების ხელშეწყობა 20
სტაჟირების პროგრამები 21

ბიზნესი 23

ადგილობრივი ბიზნესის მხარდაჭერა 24
საკონსულტაციო მხარდაჭერა 25
მეწარმე ქალების მხარდაჭერა 26
ბიზნესცოდნა და ანალიტიკა 28
ინოვაციებისა და სტარტაპების ზრდის მხარდაჭერა 29

სხვა მიმართულებები 30

სპორტი 31
კულტურა 35

დაცული ტერიტორიების მხარდაჭერა 38

2026

წლის მთავარი მიმართულებები





განათლება

ხარისხიან განათლებაზე, მომავლისთვის საჭირო უნარებსა და ფინანსურ ცოდნაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა მოსწავლეებისთვის, სტუდენტებისა და ახალგაზრდა პროფესიონალებისთვის მთელი საქართველოს მასშტაბით.

დასაქმება

ახალგაზრდების მხარდაჭერა პრაქტიკული გამოცდილების მიღებაში, შრომის ბაზარზე შესვლასა და კარიერის შენებაში.

ბიზნესის მხარდაჭერა

მეწარმეებისთვის ცოდნის, გამოცდილების, საქმიანი კავშირებისა და შესაძლებლობების მიწოდება უფრო ძლიერი და მდგრადი ბიზნესის განსავითარებლად.

სპორტი

აქტიური ცხოვრების წესის, ახალგაზრდების ჩართულობისა და ქართული სპორტის განვითარების ხელშეწყობა.

კულტურა

კულტურული მემკვიდრეობის, შემოქმედების, ლიტერატურისა და კულტურულ ცხოვრებაზე უფრო ფართო ხელმისაწვდომობის მხარდაჭერა.

გარემოს დაცვა

საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაცვაში წვლილის შეტანა და გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ ცნობიერების ამაღლება.

განათლება



ჩვენი საგანმანათლებლო ინიციატივები

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში საქართველოს ბანკი აქტიურად უჭერს მხარს განათლებას, რათა უფრო მეტ ადამიანს ჰქონდეს წარმატების მიღწევის შესაძლებლობა. ჩვენ მტკიცედ გვჯერა, რომ შეუძლებელი არაფერია, განსაკუთრებით მაშინ, როცა საკუთარ ძალებს ირწმუნებ და მათ რეალიზებას შეეცდები. სწორედ ამიტომაცაა ჩვენი ერთ-ერთი მთავარი მისია იმ ინიციატივების თუ ადამიანების მხარდაჭერა, რომლებიც ქმნიან უკეთეს საქართველოს. ჩვენი საგანმანათლებლო ინიციატივები 4 ძირითად პრიორიტეტზეა ორიენტირებული.

საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

თანამედროვე სასწავლო სივრცეების შექმნა მთელი ქვეყნის მასშტაბით.

STEM განათლების ხელშეწყობა

მომავალი მეცნიერების, ინჟინრებისა და ტექნოლოგიური სფეროს პროფესიონალების განვითარების მხარდაჭერა.

ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის ზრდა

მოტივირებული ადამიანებისთვის ხარისხიან განათლებაზე წვდომის შეთავაზება.

ფინანსური წიგნიერების ამაღლება

ცოდნისა და პრაქტიკული უნარების განვითარება, რაც ადამიანებს ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში ეხმარება.



25 000 +
მოსწავლე



იდეათეკები

საქართველოს ბანკის იდეათეკა უნიკალური საგანმანათლებლო სივრცეა, რომელიც ფორმალური და არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობას ერთდროულად იძლევა. პროექტი ბანკმა 2019 წელს დაიწყო, რაც ახალგაზრდებისთვის ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობების შექმნასა და მათი ინტელექტუალური განვითარების ხელშეწყობას ისახავს მიზნად. დღეს მულტიფუნქციური ბიბლიოთეკები საქართველოს 11 რეგიონის 32 სკოლაში ფუნქციონირებს და 25 000-ზე მეტ მოსწავლეს აძლევს წვდომას საგანმანათლებლო რესურსებზე.

იდეათეკის კონცეფცია გულისხმობს საზღვრისპირა, მაღალმთიან, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ქალაქებსა თუ სოფლებში თანამედროვე ტექნოლოგიებზე, საგანმანათლებლო რესურსებსა და მრავალფეროვან შესაძლებლობებზე წვდომასა და ახალი იდეების განხორციელებისთვის საჭირო გარემოს შექმნას.



24
უნივერსიტეტი

500+
სტიპენდიატი

საქართველოს ბანკის სტიპენდია

საქართველოს ბანკის სტიპენდია მოტივირებულ და მიზანდასახულ სტუდენტებს ბაკალავრიატში სწავლის სრული ან ნაწილობრივი დაფინანსების მიღების შესაძლებლობას აძლევს. პროგრამაში ჩართვა კი სწავლის პირველივე წლიდანაა შესაძლებელი, არჩეული სფეროს მიუხედავად.

სტიპენდიატები აკადემიური მოსწრებისა და ლიდერული პოტენციალის საფუძველზე შეირჩევიან. პროგრამა საქართველოს 24 უნივერსიტეტთან პარტნიორობით ხორციელდება, რაც მთელ ქვეყანაში ნიჭიერი სტუდენტებისთვის უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაფართოებას უწყობს ხელს.

გიორგი ჩახავას სახელობის სტიპენდია

ეს სტიპენდია, რომელიც ცნობილი ქართველი არქიტექტორის, საქართველოს ბანკის სათავო ოფისის შენობის ავტორის, გიორგი ჩახავას სახელს ატარებს, არქიტექტურის სპეციალობის სტუდენტებს უჭერს მხარს.

სტიპენდიატებს შეუძლიათ მიიღონ სწავლის სრული ან ნაწილობრივი დაფინანსება. პროგრამა უზრუნველყოფს, რომ თითოეული უნივერსიტეტიდან დაფინანსება სულ მცირე ერთმა სტუდენტმა მიიღოს, რაც საგანმანათლებლო შესაძლებლობებზე თანაბარ ხელმისაწვდომობას ქმნის და ქართველი არქიტექტორების, შემოქმედებითი ტალანტების ახალ თაობას აძლიერებს.



საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, დიზაინის ინგლისურენოვან პროგრამაზე ვსწავლობ.
დიზაინი ბავშვობიდან მაინტერესებდა - მიყვარდა ხატვა და კრეატიული თამაშები, განსაკუთრებით Minecraft და Sims, სადაც საკუთარი იდეების განხორციელება შემეძლო.

დღეს ჩემი მიზანია, ბავშვობიდან მოფიქრებული იდეები რეალობად ვაქციო.

ჩემთვის სტიპენდია, პირველ რიგში, დიზაინის პროექტებსა და მეცადინეობაში გათენებული ღამეების დაფასებაა. ახლა უფრო მოტივირებული ვარ, რადგან ვიცი, რომ შრომა აუცილებლად დამიფასდება.

მჯერა, რომ განვითარებისთვის მუდმივი შრომა და ახალი შესაძლებლობების ძიებაა საჭირო. სწორედ ამიტომ, მომავალ კონკურსანტებს ვურჩევ, სამოტივაციო წერილში გულწრფელად ისაუბრონ საკუთარ მიზნებსა და გამოცდილებაზე.

არ არსებობს სწორი ფორმულა, არსებობს შენი ისტორია, მოტივაცია და სურვილი. არ უნდა შეგეშინდეს საკუთარი თავის წარმოჩენის და უნდა დააფასო გზა, რომელიც გამოიარე. ყველაზე მთავარი მაინც მცდელობაა - თვითონ მცდელობაც კი უკვე წინსვლაა და გეხმარება ახალი გამოცდილების მიღებაში.

ჩეზო ყავლაშვილი
საქართველოს ბანკის სტიპენდიანტი



პროფესიული განათლების დაფინანსების პროგრამა

უკვე მეორე წელია საქართველოს ბანკის სასტიპენდიო პროგრამა პროფესიულ აკადემიებში ნებისმიერ ადამიანს აძლევს შესაძლებლობას დაეუფლოს ახალ პროფესიას ან გაიღრმავოს ცოდნა მისთვის საინტერესო მიმართულებით.

20 წამყვან პარტნიორ აკადემიაში პროფესიული კურსების სრული დაფინანსებით მონაწილეები იძენენ პრაქტიკულ უნარებს, რომლებიც მათ დასაქმების შესაძლებლობებს ზრდის და საქართველოს შრომის ბაზარზე თავის დამკვიდრებაში ეხმარება.

AI სტიპენდია გოგოებისთვის

AI სტიპენდია გოგოებისთვის 2025 წელს გაეროს ქალთა ორგანიზაციასა და Mastercard-თან პარტნიორობით ხორციელდება.

პროგრამა შეიქმნა იმისათვის, რომ მომავლისთვის საჭირო ციფრულ უნარებზე ხელმისაწვდომობა გაფართოვდეს და ტექნოლოგიებში ქალთა მეტი ჩართულობა წახალისდეს. სტიპენდია ხელოვნური ინტელექტის სპეციალიზებული კურსების სრულ დაფინანსებას მოიცავს და მონაწილეებს გლობალური ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად მზარდ სფეროში პრაქტიკული ცოდნის განვითარების შესაძლებლობას აძლევს.

20+

პროფესიული აკადემია

2026 წლიდან პროგრამაზე მიღება გამოცხადდა სკოლის მოსწავლეებისთვისაც, რომელთაც 10-ზე მეტი კურსის სრული დაფინანსებით სწავლის შესაძლებლობა აქვთ.



63 საერთაშორისო სტიპენდიანტი

საერთაშორისო სტიპენდიები

საერთაშორისო განათლება მნიშვნელოვან როლს ასრულებს მომავალი ლიდერების განვითარებასა და საქართველოს ადამიანური კაპიტალის გაძლიერებაში.

სწორედ ამიტომ საქართველოს ბანკის საერთაშორისო სასტიპენდიო პროგრამებით ნიჭიერ ქართველ სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ საზღვარგარეთის წამყვან სასწავლებლებში, მიიღონ საერთაშორისო გამოცდილება და განივითარონ ცოდნა და უნარები, რომლებიც საქართველოს წინსვლას შეუწყობს ხელს.

FULBRIGHT-ის პროგრამა

სწავლა აშშ-ს წამყვან უნივერსიტეტებში

CHEVENING-ის პროგრამა

ნიჭიერი სტუდენტების მხარდაჭერა, რომლებსაც სწავლა დიდ ბრიტანეთში სურთ

MIAMI AD SCHOOL EUROPE

ნიკა გუჯეჯიანის სახელობის სტიპენდია კრეატიული ინდუსტრიით დაინტერესებული ახალგაზრდებისთვის

UWC საერთაშორისო სკოლები

საერთაშორისო ბაკალავრიატის მოსამზადებელი (IB) პროგრამა მოსწავლეებისთვის

FULBRIGHT-ის პროგრამა

ფულბრაიტი აშშ-ს მთავრობის წამყვანი საერთაშორისო აკადემიური გაცვლითი პროგრამაა, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ნიჭიერ სტუდენტებს ამერიკის შეერთებულ შტატებში განათლების მიღების შესაძლებლობას აძლევს

2014 წლიდან ფულბრაიტის სამაგისტრო პროგრამის პარტნიორი გავხდით და მხარს ვუჭერთ ქართველ სტუდენტებს, რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატებში სამაგისტრო ხარისხს იღებენ. სტიპენდია სრულ ფინანსურ მხარდაჭერას მოიცავს, მათ შორის – სწავლის საფასურის, მგზავრობისა და საცხოვრებელი ხარჯების დაფარვასაც.

ჩივნინგის პროგრამა

ჩივნინგი გაერთიანებული სამეფოს მთავრობის გლობალური სასტიპენდიო პროგრამაა, რომელსაც გაერთიანებული სამეფოს საგარეო საქმეთა, თანამეგობრობისა და განვითარების ოფისი (FCDO) პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად აფინანსებს. აღნიშნული პროგრამა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ნიჭიერ პროფესიონალებს დიდ ბრიტანეთში სწავლის შესაძლებლობას აძლევს

2013 წლიდან გაერთიანებული სამეფოს მთავრობასთან პარტნიორობით ამ პროგრამის პარტნიორები ჩვენც გავხდით და ქართველ სტუდენტებს ვთავაზობთ სრულ დაფინანსებას, რომელიც სწავლის საფასურს, მგზავრობას, სავიზო მოსაკრებლებსა და საცხოვრებელ ხარჯებს ფარავს.



17
დაფინანსებული სტუდენტი

37
დაფინანსებული სტუდენტი

ნიკა გუჯეჯიანის სახელობის სტიპენდია

Miami Ad School Europe-ი მადრიდში ციფრული მარკეტინგის, სტრატეგიული იდეების, კოპირაიტინგის, გრაფიკული დიზაინის, ფოტოხელოვნებისა თუ ინოვაციების მიმართულებით ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და წარმატებული სკოლაა მსოფლიოში

საქართველოს ბანკმა Miami Ad School Europe-თან ერთად 2019 წელს ნიკა გუჯეჯიანის (საქართველოს ბანკის ყოფილი თანამშრომელი და Miami Ad School Europe-ის კურსდამთავრებული) სახელობის სტიპენდია დააწესა და ყოველ წელს 1 ქართველ სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას, Miami Ad School-ში 1-წლიან კურსზე 100%-იანი დაფინანსებით ისწავლოს. სტიპენდია მოიცავს სწავლის სრულ დაფინანსებას და ადგილის ჯავშნის საფასურს (Reservation fee).



UWC საერთაშორისო სკოლა

გაერთიანებული მსოფლიო სკოლები (UWC) წარმოადგენს საერთაშორისო საგანმანათლებლო მოძრაობას ახალგაზრდებისთვის, რომლის მიზანია, განათლება გამოიყენოს როგორც ძალა სხვადასხვა ერისა და კულტურის დასაახლოებლად და ამ გზით შეუწყოს ხელი მშვიდობიანი და მდგრადი მომავლის შექმნას. UWC მსოფლიოს სხვადასხვა კონტინენტის 18 საერთაშორისო სკოლასა და კოლეჯს აერთიანებს. პროგრამის ფარგლებში სწავლება მიმდინარეობს 17 სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის – კანადაში, აშშ-ში, ჩინეთში, იაპონიაში, ტაილანდში, გერმანიასა და იტალიაში.


საქართველოს ბანკმა UWC Georgia-სთან თანამშრომლობა 2025 წელს დაიწყო და უკვე 3 სტიპენდიატი გვყავს. ჩვენი მხარდაჭერით, ქართველ მოსწავლეებს აქვთ უნიკალური შესაძლებლობა, დაეუფლონ საერთაშორისო ბაკალავრიატის (IB) პროგრამას.

6

დაფინანსებული სტუდენტი

3

დაფინანსებული სტუდენტი



მიხეილ დაბარცყავა
ქიმიის მასწავლებელი

მასწავლებლის ეროვნული ჯილდო

მეორე წელია მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს მთავარი მხარდამჭერები ვართ. პროექტი გლობალური კამპანიის ნაწილია, რომელიც მასწავლებლის, როგორც პროფესიის, პოპულარიზაციას ისახავს მიზნად და წარმატებული პედაგოგების გამოვლენასა და მათ წარდგენას ითვალისწინებს საზოგადოებისთვის.

ქიმია ბავშვობიდან შემიყვარდა - ამაში დიდი წვლილი ჩემმა მასწავლებლებმა შეიტანეს. დღეს თავად ვასწავლი ამ საგანს და ვცდილობ, მოსწავლეებსაც დავანახო, რამდენად საინტერესოა მეცნიერება, როდესაც მას პრაქტიკაში იყენებ.

სკოლაში დამატებით საკვირაო გაკვეთილებს ვატარებთ, გვაქვს ოთხი კვლევითი ჯგუფი და მოსწავლეებთან ერთად ვქმნით კედლის გაზეთს „ყოველდღიური ქიმია". ჩემთვის მნიშვნელოვანია, ბავშვებმა მხოლოდ თეორიული ცოდნა კი არ მიიღონ, არამედ თავად ჩაატარონ ექსპერიმენტები და აღმოაჩინონ ქიმიის კავშირი ყოველდღიურ ცხოვრებასთან.

მასწავლებლობა დიდ შრომასა და დროს მოითხოვს. გაკვეთილების დასრულების შემდეგაც ხშირად საათობით ვმუშაობ მოსწავლეებთან. ამ შრომის ყველაზე დიდი შედეგი კი მათი წარმატებაა - განსაკუთრებით მაშინ, როცა ჩემი ყოფილი მოსწავლეები ქიმიას ირჩევენ პროფესიად და ამ მიმართულებით კარიერას იწყობენ.

„იმისთვის, რომ ბავშვი დაინტერესდეს ქიმიით, აუცილებელია ლაბორატორიული სამუშაოების ჩატარება მიზანი უნდა იყოს ის, რომ ბავშვმა დაინახოს რეალური გამოყენება."



STEM განათლების ხელშეწყობა

საქართველოს ბანკი აქტიურად უჭერს მხარს STEM განათლებას და ხელს უწყობს მეცნიერების, ინჟინერიისა და ტექნოლოგიების მიმართულებით მომავალი თაობის პროფესიონალებისა და ინოვატორების განვითარებას.

ამ მიზნით, საქართველოს ბანკი თანამშრომლობს კომაროვის სკოლასა და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსთან (GITA) და ახორციელებს მნიშვნელოვან საგანმანათლებლო ინიციატივებს: STEM სკოლას, STEM ოლიმპიადას, Code IT-სა და TUMO ქუთაისის პროექტებს, რომლებიც ახალგაზრდებს ცოდნის გაღრმავების, პრაქტიკული გამოცდილების მიღებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების დაუფლების შესაძლებლობას აძლევს.

STEM ოლიმპიადა

STEM ოლიმპიადა საქართველოს ბანკისა და კომაროვის სკოლის თანამშრომლობით განხორციელებული საგანმანათლებლო პროექტია. ოლიმპიადა აერთიანებს მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიისა და ინფორმატიკის მიმართულებებს და მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, პრაქტიკულ და გუნდურ შეჯიბრებაში გამოსცადონ ცოდნა. 2023 წლიდან STEM ოლიმპიადაში 3000-ზე მეტმა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა.

STEM სკოლა

საქართველოს ბანკისა და კომაროვის STEM სკოლა მოსწავლეებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, ტექნოლოგიების, ინჟინერიისა და მათემატიკის მიმართულებით ცოდნის გაღრმავების შესაძლებლობას აძლევს. პროგრამა აერთიანებს თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას, ხელს უწყობს კრიტიკულ და ანალიტიკურ აზროვნებას და ახალგაზრდებს მომავლის პროფესიებისთვის ამზადებს.

3000+
მონაწილე

5000+
მოსწავლე

700+
სტიპენდიანტი



საქართველოს ბანკისა და კომაროვის სკოლის პარტნიორობა

საქართველოს ბანკისა და კომაროვის სკოლის პარტნიორობა ორ საგანმანათლებლო პროექტს აერთიანებს, STEM სკოლასა და STEM ოლიმპიადას. ორივე პროექტის მიზანია, მოსწავლეებს ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართ ინტერესი გაუღვივოს და ამ სფეროებში ცოდნის გაღრმავების შესაძლებლობა მისცეს.

STEM განათლების გაძლიერება და პოპულარიზაცია საქართველოს ბანკისა და კომაროვის სკოლის პარტნიორობის ერთ-ერთი მთავარი მიზანია.

ამ თანამშრომლობის ფარგლებში შექმნილი STEM სკოლა და STEM ოლიმპიადა მოსწავლეებს ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ცოდნის გაღრმავებისა და მომავლისთვის საჭირო უნარების განვითარების შესაძლებლობას აძლევს.

STEM განათლების გაძლიერება ნიშნავს ქვეყნის მომავლის გაძლიერებას - ეს არის გზა, რომლითაც ჩვენი ახალგაზრდები გახდებიან ინოვაციების არა მხოლოდ მომხმარებლები, არამედ შემქმნელები.

ვახტანგ ჯაოშვილი
კომაროვის სკოლის დირექტორი



CODE IT

საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსთან (GITA) პარტნიორობით 2023 წელს დაწყებული პროგრამა Code IT მთელი საქართველოს მოსწავლეებს პროგრამირების საბაზისო უნარების განვითარების შესაძლებლობას აძლევს. სწავლება რეგიონების ტექნოპარკებში მიმდინარეობს.

ევერესტის ოლიმპიადა

საქართველოს ბანკი ევერესტის მათემატიკურ ოლიმპიადას 2023 წლიდან უჭერს მხარს. პროექტი სკოლის პირველივე წლებიდან მათემატიკის ინტერესის წახალისებას ემსახურება და მთელ საქართველოს მოიცავს.

თუმო ქუთაისი

2026 წელს საქართველოს ბანკის მხარდაჭერითა და ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს ინიციატივით უფასო საგანმანათლებლო ცენტრი - თუმო ქუთაისი გაიხსნა, სადაც მოზარდები ტექნოლოგიებს, პროგრამირებას, დიზაინსა და სხვა შემოქმედებით მიმართულებებს ეუფლებიან. პროექტი ხელს უწყობს ახალგაზრდებში ციფრული უნარების განვითარებასა და თანამედროვე განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდას.



ფინანსური განათლება პარტნიორებთან ერთად

საქართველოს ბანკი მხარს უჭერს პარტნიორების ინიციატივებსაც, რომლებიც ფინანსური წიგნიერების ზრდას ემსახურება:

- **საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ)** ამ მიმართულებით მთავარი პარტნიორია. 2026 წელს ბანკმა მხარი დაუჭირა მოსწავლეებისა და მასწავლებლების ფინანსური განათლების კონკურსებს, დესპანებისა და ფინანსური ავტობუსის პროექტებს.

- **მედია პარტნიორებთან, BMG-სა და On.ge-სთან,** ერთად შეიქმნა ვიდეო და სტატიკური კონტენტი ფინანსური განათლების თემებზე.

- **უნივერსიტეტებში** ბანკის ინიციატივითა და მხარდაჭერით საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტსა და სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტში ფინანსური განათლების კურსი დაინერგა. კურსი 100-ზე მეტმა სტუდენტმა გაიარა.

ფინანსური წიგნიერების ამაღლება

ფინანსური წიგნიერება აუცილებელი ცხოვრებისეული უნარი და გრძელვადიანი ფინანსური კეთილდღეობის მნიშვნელოვანი საფუძველია.

ფინანსური თავდაჯერებულობა პრაქტიკულ ცოდნაზე წვდომით იწყება, რომელიც ადამიანებს ეხმარება გაიგონ, როგორ მართონ ფული, მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები და დაგეგმონ მომავალი.

ფინანსური განათლების სასერტიფიკატო ტრენინგები

2025 წელს დავიწყეთ სასერტიფიკატო ტრენინგები სამი აუდიტორიისთვის: მასწავლებლების, სტუდენტებისა და მშობლებისთვის. ტრენინგებს გამოცდილი ლექტორი ატარებს და თითოეული აუდიტორიის საჭიროებებზე მორგებულ თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს განიხილავს. ბოლოს მონაწილეები სერტიფიკატს იღებენ. 2026 წელს ტრენინგი 600-ზე მეტმა მონაწილემ გაიარა.

ფინანსური განათლება თანამშრომლებისთვის

ვზრუნავთ ჩვენი თანამშრომლების ფინანსურ განათლებაზეც. 2026 წელს შიდა eLearning პლატფორმას ფინანსური განათლების კურსი დაემატა.



sCoolApp

ახალგაზრდებთან ფინანსური ცოდნის გასავრცელებლად აქტიურად ვიყენებთ ჩვენს აპლიკაციას, sCoolApp-ს. მასში ყოველკვირეულად ქვეყნდება საგანმანათლებლო story-ები. sCoolApp-ში ხელმისაწვდომია საგანმანათლებლო და გასართობი თამაში TRIVIA, რომელიც მოზარდებს ცოდნის გაფართოებისკენ, ლოგიკური აზროვნების განვითარებისა და თამაშით სწავლისკენ უბიძგებს.

ფინანსური განათლება TRIVIA-ს გამოცდილების მნიშვნელოვანი ნაწილია. სპეციალური კონტენტის მეშვეობით ახალგაზრდა მომხმარებლები მარტივ და ინტერაქტიულ ფორმატში ეცნობიან ისეთ პრაქტიკულ თემებს, როგორიცაა დაზოგვა, პასუხისმგებლიანი ხარჯვა, პირადი ბიუჯეტის დაგეგმვა და კიბერუსაფრთხოება.

ფინანსური ცოდნის ფართო საგანმანათლებლო თამაშში ინტეგრირებით, საქართველოს ბანკი მიზნად ისახავს, ფულის შესახებ სწავლა ახალგაზრდა აუდიტორიისთვის უფრო გასაგები და საინტერესო გახადოს და, ამავდროულად, ცნობისმოყვარეობა და კრიტიკული აზროვნება წაახალისოს.

2026 წელს sCoolApp TRIVIA-ში მომხმარებლების 75%-მა მიიღო მონაწილეობა.

185 000

ყოველთვიური აქტიური მომხმარებელი sCoolApp

დასკვნა

დასაქმების ხელშეწყობა

დასაქმების ხელშეწყობა საქართველოს ბანკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. როგორც ერთ-ერთი წამყვანი დამსაქმებელი, ბანკი ზრუნავს არა მხოლოდ სამუშაო ადგილების შექმნაზე, არამედ ადამიანებისთვის პროფესიული განვითარებისა და წარმატებული კარიერისთვის საჭირო შესაძლებლობების გაფართოვებაზე.

ამ მიზნით, საქართველოს ბანკი მხარს უჭერს ინიციატივებს, რომლებიც განათლებას დასაქმებასთან აკავშირებს და ახალგაზრდებს პირველი პროფესიული გამოცდილების მიღებასა და კარიერის დაწყებაში ეხმარება.

ბანკი ახორციელებს სტაჟირებისა და პროფესიული განვითარების პროგრამებს და ხელს უწყობს დასაქმების ახალი შესაძლებლობების შექმნას.

ამასთანავე, საქართველოს ბანკი ზრუნავს საკუთარი თანამშრომლების უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე, კარიერულ ზრდასა და შიდამობილობაზე. ამ გზით ბანკი ხელს უწყობს საქართველოში უფრო კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სამუშაო ძალის ჩამოყალიბებას.





530+
სტუდენტი

სტაჟირების პროგრამები

სტაჟირების პროგრამები ახალგაზრდებს ეხმარება პრაქტიკული გამოცდილების მიღებაში, პროფესიული უნარების განვითარებასა და კარიერის პირველი ნაბიჯების გადადგმაში. სწავლების, მენტორობისა და სამუშაო გამოცდილების შეთავსებით, პროგრამები ახალგაზრდებს განათლებიდან დასაქმებამდე გზის გავლაში ეხმარება.

ლიდერატორი

საქართველოს ბანკის „ლიდერატორი" უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის და ახალი კურსადმთავრებულებისთვის განკუთვნილი ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამაა, რომელიც მათ პრაქტიკული გამოცდილების მიღებისა და კარიერის დაწყების შესაძლებლობას აძლევს.

2017 წელს დაწყებული 8-თვიანი პროგრამა სტუდენტების სასწავლო განრიგზეა მორგებული და აერთიანებს პრაქტიკულ სამუშაოს, დეპარტამენტებს შორის როტაციას, მენტორობასა და რეგულარულ უკუკავშირს. მონაწილეებს შესაძლებლობა აქვთ, 30-ზე მეტ დეპარტამენტში გაეცნონ სხვადასხვა პროფესიულ მიმართულებას - საბანკო მომსახურებას, ფინანსებს, რისკების მართვას, ტექნოლოგიებს, მონაცემთა მეცნიერებას, ადამიანური რესურსების მართვას და სხვა სფეროებს.

2017 წლიდან დღემდე, პროგრამაში 530-ზე მეტმა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა. ხოლო, მონაწილეთა 78%-მა პროგრამის დასრულების შემდეგ კარიერა საქართველოს ბანკში გააგრძელა.

2026 წელს „ლიდერატორს" 44 სტუდენტი შეუერთდა, რომლებმაც პრაქტიკული გამოცდილება 30-ზე მეტ დეპარტამენტში მიიღეს.

საზაფხულო სტაჟირება

საქართველოს ბანკის საზაფხულო სტაჟირების პროგრამა 2021 წელს დაიწყო და განკუთვნილია ქართველი სტუდენტებისთვის, რომლებიც მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სწავლობენ.

4-დან 8 კვირამდე ხანგრძლივობის პროგრამა მონაწილეებს პრაქტიკული გამოცდილების მიღების, სხვადასხვა პროფესიული მიმართულების გაცნობისა და აკადემიური ცოდნის რეალურ სამუშაო გარემოში გამოყენების შესაძლებლობას აძლევს.

2026 წელს პროგრამას 47 სტუდენტი შეუერთდა. პროგრამის დაწყებიდან დღემდე საზაფხულო სტაჟირება სულ 119-მა სტუდენტმა გაიარა.

119
სტაჟიორი



ბიზნესი



ადგილობრივი ბიზნესების მხარდაჭერა

ძლიერი ბიზნესი ეკონომიკური ზრდის, სამუშაო ადგილების შექმნისა და ქვეყნის საერთო წარმატების წინაპირობაა.

ფინანსური პროდუქტების გარდა საქართველოს ბანკის ბიზნესის მიმართულება მეწარმეებისთვის ქმნის სხვადასხვა შესაძლებლობებს, რომ გაიღრმაონ ცოდნა, შეიმეცნონ ბიზნესის მართვის პრაქტიკები და კიდევ უფრო მეტად განავითარონ საკუთარი ბიზნესი.

ზოგადად, ქართული ბიზნესისადმი ჩვენი მხარდაჭერა 3 მიმართულებას მოიცავს:

საკონსულტაციო მხარდაჭერა

ბიზნესების დახმარება, იმისათვის, რომ ჰქონდეთ წვდომა პროფესიულ სწავლებასა და პრაქტიკულ გადაწყვეტებზე.

მეწარმე ქალების მხარდაჭერა

ქალების უნარების, საქმიანი კავშირებისა და ბიზნესის ზრდის შესაძლებლობების გაძლიერება.

ბიზნესცოდნა და ანალიტიკა

პრაქტიკული ბიზნესგანათლებისა და აქტუალური საბაზრო ცოდნის ხელმისაწვდომობის გაზრდა მეწარმეებისთვის მთელი საქართველოს მასშტაბით.



საკონსულტაციო მხარდაჭერა

მზარდი ბიზნესისთვის პროფესიულ სწავლებაზე წვდომა შეიძლება ისეთივე მნიშვნელოვანი იყოს, როგორც – დაფინანსებაზე. ბევრ მცირე და საშუალო ბიზნესს სჭირდება მხარდაჭერა ისეთ სფეროებში, როგორებიცაა – ფინანსური მართვა, სტრატეგიული დაგეგმვა, ოპერაციები, მარკეტინგი და ორგანიზაციული განვითარება.

ჩვენ ვეხმარებით მეწარმეებს, მიიღონ პროფესიული რჩევები და პრაქტიკული ინსტრუმენტები, რომლებიც უკეთესი გადაწყვეტილებების მიღებას, მეტ ეფექტიანობასა და მდგრად ზრდას უწყობს ხელს.

მეწარმეებს შეუძლიათ მიიღონ მხარდაჭერა ისეთ სფეროებში, როგორებიცაა – მარკეტინგი, ბუღალტერია, საგადასახადო საკითხები, ადამიანური რესურსები და ბიზნესკონსულტირება და, თან, ისარგებლონ შეღავათიანი პირობებით.



ნინო ჯაფარიძე
L'AUTRE CHOCOLAT-ის ისტორია

მეწარმე ქალების მხარდაჭერა

ქალი მეწარმეების პროგრამების დაფინანსება მიზნად ისახავს მათთვის ბიზნესცოდნის, თავდაჯერებულობის, პროფესიული კავშირებისა და ლიდერული შესაძლებლობების გაძლიერებას.

სწავლებაზე, მენტორობასა და გამოცდილების ურთიერთგაზიარებაზე ხელმისაწვდომობის გაფართოებით მეტ ქალს ეძლევა შესაძლებლობა გაზარდოს გაყიდვები როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ და ხელი შეუწყონ ეკონომიკის განვითარებას.

ტკბილეულის შექმნა ყოველთვის მიყვარდა.
დროთა განმავლობაში ეს ინტერესი საყვარელ საქმიანობად, შემდეგ კი საკუთარ ბიზნესად იქცა. ასე შეიქმნა L'autre Chocolat - ხელნაკეთი ტკბილეულის ბრენდი, სადაც თითოეული შოკოლადი ფრანგული რეცეპტებით, მაღალი ხარისხის ინგრედიენტებითა და დიდი სიყვარულით მზადდება.

როდესაც ჰობი ბიზნესად იქცა, მივხვდი, რომ მხოლოდ კარგი პროდუქტის შექმნა საკმარისი არ იყო. მჭირდებოდა სტრატეგია, სწორი ხედვა და ბიზნესის მართვის პრაქტიკული ცოდნა. სწორედ ამ ეტაპზე დამეხმარა საქართველოს ბანკის მეწარმე ქალთა განვითარების პროგრამა.

ტრენინგებზე მშრალი თეორიის ნაცვლად, კონკრეტული, სწორი გზები დამანახეს და პრაქტიკული რჩევები მომცეს, რომლებსაც საკუთარ საქმეში უკვე ვიყენებ.

პროგრამაში მიღებული ცოდნა ყოველდღიური პროცესების დაგეგმვაში, რესურსების სწორად განაწილებასა და პროდუქტის ბაზარზე პოზიციონირებაში მეხმარება. ჩემთვის ეს გამოცდილება მნიშვნელოვანი ნაბიჯია იმისთვის, რომ საყვარელი საქმე უფრო სტრუქტურირებულ და განვითარებად ბიზნესად ვაქციო.

ვორკშოპები მეწარმე ქალებისთვის

EFSE Entrepreneurship Academy-სთან პარტნიორობით ტარდება ინტერაქციულ ვორკშოპები მეწარმე ქალებისთვის, რომლებიც მცირე და მზარდ ბიზნესებს მართავენ

შეხვედრები მოიცავს ისეთ პრაქტიკულ თემებს, როგორებიცაა – ბიზნესის დაგეგმვა, ფინანსური მართვა, მარკეტინგი და ინოვაციები.

ელ. კომერციის ვორკშოპი ქალი მეწარმეებისთვის

აჭარის რეგიონში ქალი მეწარმეების გაძლიერებისა და მათი საქმიანობის ციფრულ სივრცეში გადატანის მიზნით, ელექტრონული კომერციის ორდღიანი ინტენსიური ტრენინგი ჩატარდა. პროექტის ფარგლებში, 30-მა ადგილობრივმა მეწარმე ქალმა მიიღო პრაქტიკული და თეორიული ცოდნა ონლაინ გაყიდვების მოდელების, პროდუქტის პოზიციონირების, ციფრული მარკეტინგისა და ელექტრონული კომერციისთვის აქტუალური საგადასახადო თუ საბუღალტრო საკითხების შესახებ.

მეწარმე ქალთა განვითარების პროგრამა

2022 წელს გაეროს განვითარების პროგრამასთან (UNDP) ერთად მეწარმე ქალთა განვითარების პროგრამა დაფუძნდა, რომელიც ეხმარება ქალ მეწარმეებს ძლიერი ბიზნესის შექმნასა და ლიდერული უნარების განვითარებაში.

პროგრამა აერთიანებს პრაქტიკულ ბიზნესგანათლებას, სტრატეგიულ აზროვნებას, დაფინანსების შესაძლებლობებზე წვდომასა და პროფესიული კავშირების დამყარებას.





BUSINESSCOURSE.GE

BusinessCourse.ge არის უფასო ონლაინ სასწავლო პლატფორმა მეწარმეების, მენეჯერებისა და პროფესიონალებისთვის, რომლებსაც სურთ ბიზნესცოდნისა და პრაქტიკული უნარების გაღრმავება.

პლატფორმა მუდმივად ახლდება ახალი კონტენტით, რაც მომხმარებლებს აძლევს შესაძლებლობას, მიიღონ პრაქტიკული ცოდნა საქართველოს ნებისმიერი წერტილიდან.

65 უფასო ბიზნესკურსი

ბიზნესცოდნა და ანალიტიკა

მეწარმეებისთვის საქართველოს ბანკში იქმნება პრაქტიკული სწავლის შესაძლებლობები ციფრული კურსების, ვებინარების, მასტერკლასებისა და საგანმანათლებლო პროგრამების სახით.

ვებინარები და მასტერკლასები

წლის განმავლობაში ტარდება სხვადასხვა ვებინარები და მასტერკლასები, სადაც მეწარმეები პრაქტიკულ და დროულ ინფორმაციას იღებენ ისეთ თემებზე, როგორებიცაა – ბიზნესთან დაკავშირებულ კანონმდებლობაში ცვლილებები, პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებული მოთხოვნები და ციფრული ინსტრუმენტების გამოყენება.

დამატებით, ფინანსური მასტერკლასები მონაწილეებს ეხმარება, უკეთ გაიაზრონ ფინანსური მართვა, ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპები და ფინანსური გადაწყვეტილებების გავლენა ბიზნესის შედეგებზე.

2026 წელს ვებინარებს დაახლოებით 425 მონაწილე დაესწრო.

დასრულებული კურსი BUSINESSCOURSE.GE

12 005

ინოვაციებისა და სტარტაპების ზრდის მხარდაჭერა

წლის განმავლობაში იქმნება სხვადასხვა საგანმანათლებლო და საკონსულტაციო ინიციატივები, რომლებიც მეწარმეებს ეხმარება, დანერგონ ინოვაციები, მიიღონ წვდომა საჭირო ცოდნასა და საინვესტიციო შესაძლებლობებზე.


500 GEORGIA

500 Global-თან და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსთან (GITA) პარტნიორობით 2020 წელს დაიწყო 500 Georgia-ს აქსელერაციის პროგრამა.

პროგრამის მეშვეობით სტარტაპებს შესაძლებლობა აქვთ გააძლიერონ ბიზნესმოდელები, გაიუმჯობესონ იდეების განხორციელების უნარები, მოემზადონ ინვესტიციების მოსაზიდად და დაამყარონ კავშირები საერთაშორისო სტარტაპებისა და ინვესტორების ქსელებთან.

500 Georgia ასევე უწყობს ხელს საქართველოს სამეწარმეო ეკოსისტემაში გლობალური გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვას.

დაწყებიდან დღემდე პროგრამაში 125-მა სტარტაპი ჩაერთო 2026 წელს პროგრამა 11-მა სტარტაპმა გაიარა.



125
სტარტაპი

სხვა
მიმართულებები

სპორტი კულტურა გარემოს დაცვა



სპორტი

საქართველოს ბანკი აქტიურად თანამშრომლობს წამყვან სპორტულ ფედერაციებთან და მხარს უჭერს სპორტსმენებს. ეს თანამშრომლობა მოიცავს ფეხბურთს, კალათბურთს, ოლიმპიურ და პარალიმპიურ სპორტს, ასევე ახალგაზრდულ შეჯიბრებებს, რაც ბანკს აძლევს შესაძლებლობას წვლილი შეიტანოს ისეთი სპორტული კულტურის ჩამოყალიბებაში, რომლის საფუძველიც გუნდური მუშაობა, ინკლუზია და შესაძლებლობები იქნება.

ფეხბურთი

2022 წლიდან საქართველოს ბანკი ქართული ფეხბურთის გენერალური სპონსორია. ამ პარტნიორობით ბანკი მხარს უჭერს ქართული ფეხბურთის განვითარებასა და ცნობადობის ზრდას.

დამატებით, მხარდაჭერის ფარგლებში წარმოვაჩენთ ინდივიდუალურ ამბებს – ეროვნული ნაკრების ლეგენდების და გულშემატკივრების შესახებ.



ქომაგობა არ ჩერდება

25 სექტემბერს საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ერთა ლიგის პირველი საშინაო მატჩი ჩრდილოეთ ირლანდიასთან ცარიელი ტრიბუნების წინაშე ჩაატარა. არსებული შეზღუდვების გამო, გულშემატკივრები თამაშს ვერ ესწრებოდნენ, თუმცა ამას მხარდაჭერა არ შეუჩერებია.

საქართველოს ბანკმა, როგორც ეროვნული ნაკრების მთავარმა სპონსორმა, ეს შეზღუდვა ახალ შესაძლებლობად აქცია კამპანიით „ქომაგობა არ ჩერდება“. ჩანაფიქრი მარტივი იყო: თუ გულშემატკივარი ვერ შედის სტადიონზე, მაშინ თავად ქალაქი უნდა იქცეს საგულშემატკივრო სივრცედ. ასე გაჩნდა იდეა, რომ სტადიონზე აკრძალული ქომაგობა პირდაპირ ქუჩაში, სპეციალურად მოწყობილ ტრიბუნებზე გამოსულიყო.

ეს ყველაფერი საქართველოს ბანკის, ფეხბურთის ფედერაციისა და ნაკრების ქომაგების ერთობლივი ძალისხმევით მოხერხდა. თუმცა მთავარი როლი მაინც იმ ადამიანებმა ითამაშეს, რომლებმაც ქუჩის ტრიბუნები შეავსეს. ქართული სპორტის ქომაგების პრეზიდენტი, ბექა ნოზაძე, ამ შეკრების მუხტს ასე იხსენებს:





> როდესაც ჩვენ ვუსმენთ საქართველოს ჰიმნს, ამ დროს ვფიქრობთ, რომ გავდივართ ბრძოლის ველზე. არ აქვს მნიშვნელობა, ვინ ითამაშებს მოედანზე, მთავარია როგორ თამაშობენ ის ადამიანები, რომლებსაც საქართველოს ნაკრების მაისური აცვიათ. მე ვთვლი, რომ მე ვარ ქვეყნის ჯარისკაცი, რომელიც ვალდებულია, მივიდეს იქ, სადაც ქართული დროშა ფრიალებს, მივიდეს იქ, სადაც საქართველოს ნაკრები თამაშობს და ყველა სიტუაციაში, ყველა მნიშვნელობის თამაშზე დაუჭიროს მხარი.
>
> **ბექა ნოზაძე**



კალათბურთი

2021 წლიდან საქართველოს ბანკი საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პარტნიორია, რაც ხელს უწყობს საქართველოში კალათბურთის მეტ განვითარებას და ახალგაზრდებში ამ სპორტისადმი ინტერესის გაღვივებას.

ოლიმპიური სპორტი

2019 წლიდან ბანკმა საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან დაიწყო თანამშრომლობა და დღემდე მხარს უჭერს იმ სპორტსმენებს, რომლებიც საერთაშორისო შეჯიბრებებზე ჩვენს ქვეყანას წარმოადგენენ.

მაგალითად, პარიზის 2024 წლის ოლიმპიურ თამაშებზე ქართველი სპორტსმენების მიერ მოპოვებული შვიდი მედალი კვლავ ეროვნული სიამაყის წყაროა.

პარალიმპიური სპორტი

საქართველოს ბანკი საქართველოს პარალიმპიური კომიტეტის პარტნიორია 2019 წლიდან და მხარს უჭერს მოძრაობას, რომელიც სპორტში მიღწევებს, მიზანდასახულობასა და თანაბარ შესაძლებლობებს განასახიერებს.

წელს ქართველი პარასპორტსმენების მხარდაჭერა „რომელი ბრენდი იმსახურებს ჩემპიონს?“ კამპანიით გაგრძელდა, რომელიც ქართულ ბიზნესებს საქართველოს პარალიმპიელი ჩემპიონების მხარდაჭერისკენ მოუწოდებს. კამპანიამ წარმოაჩინა პარასპორტსმენების მიღწევები და ის მხარდაჭერა, რომელიც მათ უმაღლეს დონეზე ასპარეზობის გასაგრძელებლად სჭირდებათ. დღემდე კამპანიას 20-მდე ბრენდი შემოუერთდა და საქართველოში ახალი, ხანგრძლივი ურთიერთკავშირები შექმნა.





პარტნიორობა ფოთის საჭადრაკო კლუბთან

2026 წლიდან, საქართველოს ბანკი ნანა ალექსანდრიას სახელობის ფოთის საჭადრაკო კლუბის მთავარი პარტნიორია რითიც ახალისებს ქალაქის მდიდარ საჭადრაკო ტრადიციას.

პარტნიორობა დამყარებულია საერთო მიზანზე, რაც ახალგაზრდებისთვის მეტი შესაძლებლობის შექმნას ითვალისწინებს, იმისათვის რომ მათ სწორედ ჭადრაკის მეშვეობით ისწავლონ, იასპარეზონ და განვითარდნენ.

კლუბის სპონსორობის მიღმა, 10 ნიჭიერ ახალგაზრდა მოჭადრაკეს გადაეცა სრული ერთწლიან სტიპენდია.

ამავე წელს, საქართველოს ბანკი გახდა ნანა ალექსანდრიას თასის მხარდამჭერი, რომელიც ფოთში ყოველწლიურად გამართული საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირია და ახალგაზრდა მოჭადრაკეებს ღირებული საასპარეზო გამოცდილების მიღებაში ეხმარება.



კულტურა

საქართველოს ბანკი მხარს უჭერს ინიციატივებს, რომლებიც ქართული კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, ქართული იდენტობის შენარჩუნებას, შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარებასა და კულტურაზე ხელმისაწვდომობის გაზრდას ემსახურება.

კულტურულ დაწესებულებებთან გრძელვადიანი პარტნიორობით ბანკი ხელს უწყობს როგორც მნიშვნელოვანი ტრადიციების შენარჩუნებას, ისე საქართველოს თანამედროვე კულტურული ცხოვრების განვითარებას.

სუხიშვილები

2022 წლიდან, საქართველოს ბანკი ქართული ნაციონალური ბალეტის, „სუხიშვილების", გენერალური პარტნიორია.

1945 წელს დაარსებული ანსამბლი ქართული ცეკვის, მუსიკისა და ტრადიციული სამოსის პოპულარიზაციას მსოფლიოს მასშტაბით ემსახურება. ამასთანავე, ინარჩუნებს და თანამედროვე ფორმით აგრძელებს ქართული კულტურული მემკვიდრეობის განვითარებას. პარტნიორობით საქართველოს ბანკი მხარს უჭერს ქართული კულტურის შენარჩუნებას, განვითარებასა და ახალი თაობებისთვის გაცნობას.

2026 წელს საქართველოს ბანკმა და „სუხიშვილებმა" დაიწყეს კამპანია „სუხიშვილები და რეგიონები", რომლის მიზანია ანსამბლის კონცერტების საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გამართვა და ადგილობრივი მაყურებლისთვის მისი ცოცხლად ნახვის შესაძლებლობის შექმნა.

პარტნიორობის ფარგლებში ასევე გამოიცა ილიკო სუხიშვილი უმცროსის მუსიკის ვინილის ფირფიტა, რომელიც ანსამბლის მუსიკალურ მემკვიდრეობას ვინილის ფორმატში ინახავს.

ლეგენდარული შეხვედრა

80-წლიანმა ვირტუოზულმა საშემსრულებლო კარიერამ სუხიშვილების დასი კარნეგი ჰოლის კარებთან მიიყვანა. ლეგენდარული შეხვედრა 2026 წლის 17 იანვარს შედგა და ეს დღე დიდ კულტურული მოვლენად იქცა, როდესაც კარნეგი ჰოლის ისტორიულ არქივად ქცეულ კედლებზე ანსამბლმა საკუთარი ისტორია დაწერა.





თბილისის წიგნის დღეები

უკვე სამი წელია, საქართველოს ბანკი მხარს უჭერს „თბილისის წიგნის დღეებს“ - მასშტაბურ ლიტერატურულ ღონისძიებას, რომელიც ერთ სივრცეში აერთიანებს გამომცემლობებს, წიგნის მაღაზიებს, ავტორებსა და მკითხველებს.

სპეციალური შეთავაზებებისა და ფასდაკლებების საშუალებით ღონისძიება წიგნებს უფრო ხელმისაწვდომს ხდის და სხვადასხვა ასაკის მკითხველს ლიტერატურის გაცნობისა და ახალი წიგნების აღმოჩენის შესაძლებლობას აძლევს.

ღონისძიების მხარდაჭერით საქართველოს ბანკი ხელს უწყობს კითხვის პოპულარიზაციასა და საქართველოში ლიტერატურული გარემოს განვითარებას.

2023 წლიდან დღემდე „თბილისის წიგნის დღეებს“ 150 000-ზე მეტი ადამიანი დაესწრო.

მარგო და კირა

2026 წელს საქართველოს ბანკმა ბავშვებისთვის განკუთვნილი ახალი ქართული 3D ანიმაციური სერიალის, „მარგო და კირას“, მხარდაჭერა დაიწყო.

სტუდია Garnamatac-ის მიერ შექმნილი საგანმანათლებლო სერიალი ბავშვების განვითარებაზეა ორიენტირებული და წარმოადგენს მეცნიერულად დასაბუთებულ კონტენტს, რომელიც ემოციური, კოგნიტიური და სოციალური უნარების განვითარებას უწყობს ხელს და ბავშვებს სთავაზობს მათ განვითარებაზე მორგებულ ისტორიებს. ამასთან, ითვალისწინებს ბავშვის ასაკობრივ საჭიროებებსა და განვითარების პროცესს.

დაცული ტერიტორიების მხარდაჭერა

საქართველოს ბანკი 2010 წლიდან კავკასიის ბუნების ფონდთან (CNF) თანამშრომლობით საქართველოს დაცული ტერიტორიების შენარჩუნებასა და განვითარებას უწყობს ხელს. ამჟამად ბანკი ქვეყნის 18 დაცული ტერიტორიის მხარდამჭერია, რომელთა საერთო ფართობი 740 000 ჰექტარს აღწევს.

პარტნიორობის ფარგლებში ფინანსდება დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული საჭიროებები, უმჯობესდება რეინჯერების სამუშაო პირობები და ხორციელდება მათი საქმიანობის მხარდაჭერა. ინიციატივა ასევე ითვალისწინებს ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერას.

ამ თანამშრომლობით საქართველოს ბანკი ხელს უწყობს ქვეყნის უნიკალური ეკოსისტემის, ბიომრავალფეროვნების, ფლორისა და ფაუნის დაცვასა და შენარჩუნებას.

18
დაცული ტერიტორია

740 000
ჰექტარი

CSR რეპორტი
2026 წელი